ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4654751

ნომერი: AR1703895

თარიღი : 29.08.2019

გაცემის თარიღი : 03.09.2019

გაცნობის თარიღი : 04.09.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფეიქრების ქუჩა N12/ ფეიქრების ქუჩა N12-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ქურთაული პ/ნ 01001092185
- თბილისი მუხიანი I მ/რ კორ. 15 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-7ე მუხლის თანახმად : სამშენებლოდ შეზღუდულ მიწის ნაკვეთებს წარმოადგენს

ა) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ);
ბ) სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ);
გ) სარეკრეაციო ზონა (რზ);
დ) სპეციალური ზონა (სპეცზ);
ე) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1);
ვ) სანიტარიული ზონა (სანზ);
ზ) სამხედრო დანიშნულების ზონა 2 (სდზ).

თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილს, კერძოდ კი იმ მონაკვეთს, სადაც ღობის განთავსება გსურთ, ედება სარეკრეაციო ზონა 2-ის ფენა (რზ-2). „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 37-ე მუხლის მე_3 პუნქტის თანახმად, სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთის (გარდა, ლსზ-სა და რზ1-სა) შემოღობვა შესაძლებელია არაუმეტეს 1,8 მეტრი სიმაღლის არაყრუ ღობით; აქედან გამომდინარე, საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული ფოტომონტაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით. ასევე, მოგახსენებთ რომ შერჩეულ მასალასა და ფერზე მითითებულ უნდა იქნას საერთაშორისო კოდი (RAL, RGB).

2. თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ელექტრონული განცხადებები -> ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა - ინტერნეტი. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.

3. ასევე, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა (ს/კ: 01.01.736- გაზსადენის ქსელი, მესაკუთრე-შპს „მნ“), საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.

4. ასევე, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის გარკვეულ ნაწილზე ფიქსირდება მდ. მტკვრის უჯეგირო ნაწილის ბუფერი, აქედან გამომდინარე, საჭიროა წარმოადგინოთ გარემოს ეროვნული სააგენტოს თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშორებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.